ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9-38

2022 წლის 15 აპრილი

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.101.016086) და დადგენილების:

ა) მე-2 მუხლის პირველ პუნქტს, „ლ^{2}“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ^{3}“ ქვეპუნქტი:

„ლ^{3}) შპს „ეკოსერვის ჯგუფში“ მომუშავე მძღოლებს, მებაღეებს, დამლაგებლებს, მთიბავებს, დამხმარე მუშებს, ელექტრიკოსებს, ძრავის შემკეთებლებს, შადრევნის მრეცხავებს, სპეციალისტებს, მჭრელებს, მხერხავებს, მუშებს;“;

ბ) მე-2 მუხლის 3^{2} პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^{2}. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„თ“, „კ“, „მ“, „ო“ ქვეპუნქტებით, მე-2 პუნქტის „ა“, „ბ.ა“-„ბ.გ“, „ბ.ე“, „გ“, „ე“, „თ“-„ი^{1}“ ქვეპუნქტებით და მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირების შემთხვევაში თითოეული პირისთვის კალენდარული თვის განმავლობაში ზემოაღნიშნული ყველა სახის ტრანსპორტით ჯამში განისაზღვროს არა უმეტეს 200 მგზავრობისა, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „ლ^{1}“, „ლ^{2}“, „ლ^{3}“, „ნ“ ქვეპუნქტებით, მე-2 პუნქტის „ბ.დ“, „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების შემთხვევაში თითოეული პირისთვის კალენდარული თვის განმავლობაში ზემოაღნიშნული ყველა სახის ტრანსპორტით ჯამში განისაზღვროს არა უმეტეს 100 მგზავრობისა, ხოლო ამ დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული ფასდაკლების სისტემით სარგებლობისას მგზავრობის ტარიფის/ფასის გადახდის ფუნქციის მქონე ბარათის ან გადახდის სხვა საშუალების (გარდა ვადიანი სამგზავრო ბარათისა) გამოყენების შემთხვევაში კალენდარული თვის განმავლობაში ზემოაღნიშნული ყველა სახის ტრანსპორტით ჯამში განისაზღვროს არა უმეტეს 200 მგზავრობისა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**